პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 270 (10356) | სამშაბათი, 15 ნოემბერი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

საქართველოს სსრ. სახ. ბიბლიოთეკა

დღეს ნომერში ა:

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკებთან (1-ლი გვერდი).

იქ, სადაც პირველად აინთო „ილიჩის ნათურა“ (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება. — ს. კინწურაშვილი. — სამეცნიერო დაწესებულების პარტიული ორგანიზაცია (მე-2 გვერდი).

ნ. ძიძიშვილი. — რუსეთის ფიზიოლოგიის მამა (მე-2 გვერდი).

პრესის მიმოხილვა. — საქარხნო კედლის გაზეთი ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში (მე-2 გვერდი).

დავნერგოთ მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდები (მე-3 გვერდი).

თ. ჯაფარიძე. — გავაუმჯობესოთ რუსული ენის სწავლება (მე-3 გვერდი).

წერილი რედაქციას. — გ. ხატისკაცი. — საჭიროა მეტი მზრუნველობა (მე-3 გვერდი).

ოთხი სახელმწიფოს: საგარეო, საქმეთა, მინისტრების თათბირი ქენევაში (მე-3 გვერდი).

ვ. გაბელია. — სსრ კავშირის XXXVI პირველობა მძლეოსნობაში (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

გავაუმჯობესოთ სამედიცინო მომსახურება სოფლად

ჩვენს დიად საბჭოთა ქვეყანაში შექმნილი ჯანმრთელობის დაცვის სისტემა ყველაზე მოწინავეა მთელ მსოფლიოში. სოციალისტური სახელმწიფო სახსრებსა და ძალას არ იშურებს კომუნიზმის მშენებელი ადამიანების ჯანმრთელობის დასაცავად.

მშრომელთა მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, მათი ჯანმრთელობისათვის ზრუნვა სოციალისტური საზოგადოების თვით ბუნებიდან გამომდინარეობს და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მოღვაწეობის უმაღლესი კანონია. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტში ჯანმრთელობის დაცვის საქმისათვის განკუთვნილი სახსრების ყოველწლიური ზრდა. მთელი მოსახლეობა უზრუნველყოფილია ადვილმისაწვდომი და მაღალკვალიფიციური უფასო სამედიცინო დახმარებით. საბჭოთა ადამიანების განკარგულებაშია სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, საავადმყოფოების, პოლიკლინიკების, ამბულატორიების ფართო ქსელი.

საქართველოს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე დგას ექიმების თითქმის ათიათასიანი არმია, რომლის საქმიანობა მიმართულია პროფილაქტიკური ღონისძიებებისა და ეფექტიანი მკურნალობის განსახორციელებლად, ფიზიკურად ჯანსაღი ახალგაზრდა თაობის აღსაზრდელად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების მიერ სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის დასახულ ამოცანათა განხორციელების საქმეში თავიანთი წვლილი შეაქვთ ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებს. საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა მაღობრივმა პროფილაქტიკურმა შემოწმებამ ავადმყოფობათა ადრეულ ფორმებში გამოვლინების მიზნით, ავადმყოფთა დისპანსიერულ მეთვალყურეობაზე აყვანამ და დროულმა მკურნალობამ ხელი შეუწყო კოლმეურნეთა შრომის ნაყოფიერების ამაღლებას.

სოფლის სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ქსელი ნაყოფიერ მუშაობას ეწევა თანამედროვე სამედიცინო მეცნიერების მიღწევების ფართოდ დასახერგავად პრაქტიკაში, რის შედეგად ზევრგან გაუმჯობესდა სამედიცინო მომსახურების ხარისხი. სოფლის მოსახლეობის მომსახურების საქმეში თავი გამოიჩინეს თელავის, გურჯაანის, მახარაძის, ზესტაფონის, ქასპის, საგარეჯოს, ზუგდიდის რაიონების მედიცინის მუშაკებმა.

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა უკანასკნელ ხანებში მთელი რიგი კარგი ღონისძიებები განახორციელეს მწყემსთა სამედიცინო მომსახურების გასაუმჯობესებლად. საზამთრო საძოვრებზე გაიხსნა ორი საავადმყოფო, სამედიცინო პუნქტები, რომლებიც დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით.

მიუხედავად ამისა რესპუბლიკის სოფლის მშრომელთა სამედიცინო მომსახურების საქმეში მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებია. არის შემთხვევები, როცა სამკურნალო დაწესებულებების მშენებლობისათვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხების მთლიანად ათვისებას ვერ ახერხებენ და მშენებლობა ხელი ტემპებით მიმდინარეობს. მაგალითად, კაჭრეთის რაიონული საავადმყოფოს შენობა საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცათ 1954 წლის მეოთხე კვარტალში, მაგრამ იგი ჯერაც არ არის მთლიანად დამთავრებული. მსგავსი მაგალითები ცოტა როდია. შარშან სოფლად სამკურნალო დაწესებულებათა მშენებლობის გეგმა 83 პროცენტით შესრულდა, მიმდინარე წლის 9 თვეში კი წლიური გეგმა მხოლოდ 54,4 პროცენტით არის შესრულებული. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ, ადგილობრივმა საბჭოებმა საათანადო დასკვნები უნდა გააკეთოს ამ არასახარბიელო მაჩვენებლებიდან და უზრუნველყოს მშენებლობათა გეგმების შესრულება.

ცნობილია, რომ რესპუბლიკა სამედიცინო კადრების ნაკლებობას არ განიცდის, მაგრამ პირველი ოქტომბრისათვის რაიონებში ექიმის 293 თანამდებობა ვაკანტური იყო. განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა ექიმთა ნაკლებობა ყაზბეგის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ტყიბულის რაიონებში. ბოგდანოვკის რაიონის სოფელ განძის, მესტიის რაიონის სოფელ ლახამულის საუბნო საავადმყოფოებს ექიმი არა ჰყავთ. ცხადია, ასეთი საავადმყოფოები კვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას ვერ გაუწევენ საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებს.

საბჭოთა ექიმი სოფლად ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზატორი, აქტიური საზოგადოებრივი მუშაკია. მან მოსახლეობას კვალიფიციური პოლიკლინიკური და სტაციონარული დახმარება უნდა გაუწიოს, გადაწყვიტოს მნიშვნელოვანი პროფილაქტიკური და სანიტარულ-ჰიგიენური საკითხები, იყოს მედიცინის მეცნიერების აქტიური პროპაგანდისტი. ამ ღონისძიებათა განხორციელებით ექიმი ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში შრომის ნაყოფიერების ამაღლებას. ამიტომ სასოფლო რაიონების სამედიცინო კადრებით დაკომპლექტებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვა ადგილობრივი საბჭოების მუშაობის ერთ-ერთი სერიოზული უბანია. ადგილობრივმა საბჭოებმა დეპუტატების, აქტივის დახმარებით უნდა წარმართონ ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა საქმიანობა, კონტროლი გაუწიონ მათ, იბრძოლონ საავადმყოფოებში, პოლიკლინიკებსა და ამბულატორიებში სანიმუშო წესრიგისათვის, ხელი შეუწყონ სამკურნალო დაწესებულებათა ქსელში მუშაობის კულტურის ამაღლებას.

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების ვალია უფრო ოპერატიულად, საქმის ცოდნით უხელმძღვანელონ მედიცინის ფრონტის მუშაკებს, გააძლიერონ მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა, მეტი ყურადღება მიაქციონ ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლებას, სისტემატურად მოიწვიონ საოლქო და რესპუბლიკური თათბირები მოწინავე გამოცდილების ურთიერთგაზიარებისათვის, ხშირად მიაღლინონ ექიმები საოლქო და რესპუბლიკურ საავადმყოფოებსა და კლინიკებში დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ახალი მეთოდების გასაცნობად.

ამოცანა ის არის, რომ უზრუნველყოფილ იქნას მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესება და განვითარება. ეს ამოცანა წარმატებით მაშინ გადაიჭრება, თუ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები ქმედითად, კონკრეტულად უხელმძღვანელებენ და დაეხმარებიან ექიმთა მრავალრიცხოვან არმიას.

ეჭვი არ არის, რომ ჩვენი რესპუბლიკის მედიცინის მუშაკები, რომლებიც მთელ მშრომელებთან ერთად უდიდესი პატრიოტული აღმავლობით იღღესასწაულეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 38-ე წლისთავი, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში, ახალი წარმატებებით შეხვდებიან მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობას, მთელ ძალებს მოახმარენ კომუნიზმის მშენებელი ადამიანების ჯანმრთელობის დაცვას.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკებთან

მიმდინარე წლის 14 ნოემბერს საბჭოთა კავშირას კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკთა და მოკავშირე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მინისტრთა საუბარი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვთან.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ამხ. ვ. ვ. მაცკევიჩმა გააკეთა მოკლე ინფორმაცია სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიის გაფართოებული სხდომის შესახებ, რომელიც გაიმართა მიმდინარე წლის 11-12 ნოემბერს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრთა მონაწილეობით. კოლეგიის ამ სხდომამ განიხილა შემდეგი საკითხები: 1. 1955 სასოფლო-სამეურნეო წლის წინასწარი შედეგები და 1956 წელს უხვი მოსავლისა და მეცხოველეობის მაღალი პროდუქტიულობის მიღების ამოცანები; 2. სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების, დამზადების საქმის ორგანიზაციისა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესების; 3. კოლმეურნეობებში შრომის დამატებითი ანაზღაურების სისტემის შესახებ.

საუბრის დროს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის სიტყვაში სოფლის მეურნეობის ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა რაც შეიძლება მალე აღმოიფხვრას სერიოზული ნაკლოვანებანი მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისადმი ხელმძღვანელობაში, კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისათვის მუშაობაში, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გასაადიდებლად სამეცნიერო დაწესებულებათა საქმიანობაში.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ამოცანებს, რომ ყოველმხრივ შევაჯამოთ სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგები, განვაზოგადოთ და დავნერგოთ მოწინავე მეურნეობათა გამოცდილება, გავაუმჯობესოთ საკოლმეურნეო კადრების სწავლება, მეთესლეობის, განსაკუთრებით სიმინდის ჰიბრიდული თესლის წარმოების საქმე, სანიმუშოდ მოვაწყოთ პირუტყვის გამოზამთრება და ორგანიზებულად მოვემზადოთ 1956 წლის საგაზაფხულო თესვისათვის.

საუზმე ნორვეგიის პრემიერ-მინისტრ ე. ჰერჰარდსენთან

ნორვეგიის პრემიერ-მინისტრმა ე. ჰერჰარდსენმა და მისმა მეუღლემ, რომელნიც საბჭოთა მთავრობის მოწვევით სტუმრად იმყოფებიან მოსკოვში, 14 ნოემბერს საუზმე გამართეს.

საუზმეზე იყვნენ ნ. ა. ბულგანინი, ა. ი. მიკოიანი, მ. ზ. საბუროვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, საგარეო ვაჭრობის მინისტრი ი. გ. კაბანოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ვ. ა. ზორინი და ვ. ს. სემეონოვი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნორვეგიაში გ. პ. არკადიევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ოქმის უფროსი ე. ა. ტარაბარინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სკანდინავიის ქვეყნების განყოფილების გამგის მოადგილე ს. ა. აფანასიევი.

ნორვეგიის მხრივ იყვნენ ვაჭრობის მინისტრი ა. სკაუგი და მისი მეუღლე, ნორვეგიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ე. ბროდლანდი და მისი მეუღლე, ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების უფროსი ო. ოსი, სსრ კავშირში მყოფი ნორვეგიის სავაჭრო დელეგაციის მეთაური ს. სომერფელტი. (საკდესი).

ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი ე. ჰერჰარდსენი მოსკოვში

12 ნოემბერს დილით ნორვეგიის პრემიერ-მინისტრმა ე. ჰერჰარდსენმა და მისმა მეუღლემ ქ-ნმა ვ. ჰერჰარდსენმა ვიზიტი გაუკეთეს მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს მ. ა. იასნოვს, რომელიც მეთაურობდა მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დელეგაციას, ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოს რომ ეწვია მიმდინარე წელს.

მეგობრულ საუბარში მ. ა. იასნოვმა სტუმრებს უამბო მოსკოვის საბინაო მშენებლობაზე, ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოებზე. მან შესთავაზა ბ-ნ ე. ჰერჰარდსენსა და მის მეუღლეს, თუ მოისურვებენ, დეტალურად გაეცნონ მოსკოვის საბინაო მშენებლობას. მადლობა გადაუხადა რა ამისათვის, ე. ჰერჰარდსენმა თქვა, სიამოვნებით ვისარგებლებ თქვენი წინადადებით, თუ დრო ამის ნებას მომცემსო. მოსკოვის საბჭოს აღმასკომში ყოფნის სამახსოვროდ მ. ა. იასნოვმა ე. ჰერჰარდსენს მიართვა ფოტოსურათების ალბომი მოსკოვის ხედებით.

შემდეგ ე. ჰერჰარდსენი და მისი თანმხლები პირები იყვნენ სტალინის რაიონის № 617 საბავშვო ბაღში, სადაც არიან მშენებელ მუშათა ბავშვები.

დღის მეორე ნახევარში ე. ჰერჰარდსენმა და ნორვეგიის დელეგაციის სხვა წევრებმა იმოგზაურეს მოსკოვის მეტროპოლიტენით, დაათვალიერეს მისი მთელი რიგი სადგურები. საღამოს ნორვეგიელმა სტუმრებმა თოჯინების სახელმწიფო ცენტრალურ თეატრში ნახეს სპექტაკლი „2:0 ჩვენს სასარგებლოდ“.

პრემიერ-მინისტრ ე. ჰერჰარდსენს ახლდნენ სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნორვეგიაში გ. პ. არკადიევი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი. (საკდესი).

ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრი უ ნუ სტალინგრადს ეწვია

სტალინგრადი, 14 ნოემბერი. (საკდესი). ბრუნდება რა პოლონეთიდან სამშობლოში საბჭოთა კავშირზე გავლით, ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრი უ ნუ 13 ნოემბერს საღამოს სტალინგრადს ჩამოვიდა.

უ ნუსა და მის თანმხლებ პირებს აეროდრომზე შეხვდნენ სტალინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ა. ი. ჟდანიუკი, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი კ. ს. ნეკრასოვი, ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები და ჟურნალისტები.

ბირმელმა სტუმრებმა დაათვალიერეს ქალაქის ცენტრალური ნაწილი, იყვნენ სანაპიროზე, პავლოვის სახლთან, ნახეს ი. ბ. სტალინის სახელობის ცარიცინ-სტალინგრადის დაცვის მუზეუმი. აქ პრემიერ-მინისტრმა შემდეგი ჩაწერა შთაბეჭდილებათა წიგნში: „მუზეუმის ექსპონატები, რომლებიც მოგვითხრობენ სტალინგრადის გმირულ დაცვას, დიდ ინტერესს წარმოადგენენ. სტალინგრადის ადამიანთა გამარჯვება არის მთელი პროგრესული ძალების გამარჯვება ფაშიზმზე“.

სტალინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ა. ი. ჟდანიუკმა ვახშამი გამართა უ ნუს პატივსაცემად.

14 ნოემბერს დილით სამშობლოში მიმავალი პრემიერ-მინისტრი უ ნუ და მისი თანმხლები პირები ბაქოს გფრინდნენ. ქალაქის დატოვების წინ პრემიერ-მინისტრმა უ ნუმ გვირგვინთ შეამკო სტალინგრადის გმირ დამცველთა საფლავი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია მოსკოვიდან უნგრეთს გაემგზავრა

14 ნოემბერს მოსკოვიდან უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში გაემგზავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია, რომელშიც შედიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი (დელეგაციის ხელმძღვანელი), სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ა. ს. ბორისენკო, ე. პ. გონჩაროვი, გ. დ. ჯავახიშვილი გ. ვ. ენიუტინი, პ. პ. ერმაკოვი, ა. პ. ეურავლიოვი, ლ. ს. მატვეევა, პ. გ. მოსკატოვი, ა. ა. მიურისეპი, ზ. ს. ომაროვა, ნ. ი. სმირნოვი, ვ. ნ. ტიტოვი.

დელეგაცია ვნუკოვოს აეროდრომზე გააცილეს სსრ კავშირის მინისტრებმა პ. ი. ანტროპოვმა, ნ. დ. პსურცევმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილემ ა. თ. გორკინმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა პ. ბ. ზიკოვმა, მ. ს. კომაროვმა, ი. კ. ლებედევმა, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა ა. ს. ზოლდორეევმა, ო. ი. დემიანცევამ, პ. პ. ეროფეევმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო-საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ ე. მ. ბელეცკიმ, მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ პ. ი. ლეონოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კანცელარიის უფროსმა ნ. კ. კოზლოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ოქმის უფროსმა გ. ი. ფომინმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მე-5 განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელმა ვ. ფ. ნიკოლაევმა, პრესის წარმომადგენლებმა.

დელეგაცია აგრეთვე გააცილეს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა სსრ კავშირში ი. კოვაჩმა და საელჩოს თანამშრომლებმა. (საკდესი).

ი. მ. სეჩენოვის ხსოვნის აღსანიშნავად

თბილისის მეცნიერთა საზოგადოებრიობა აღნიშნავს დიდი რუსი ფიზიოლოგის ი. მ. სეჩენოვის გარდაცვალების 50 წლისთავს.

ამ თარიღს მიეძღვნება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა, რომელიც მოწვეულია 15 ნოემბრისათვის.

ი. მ. სეჩენოვის გარდაცვალების 50 წლისთავთან დაკავშირებით მოეწყობა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს ფიზიოლოგთა, ბოტანიკოსთა და ფარმაკოლოგთა საზოგადოების, სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებული სხდომა. სხდომა მოისმენს მოხსენებებს: აკადემიკოს ი. ბერიტაშვილისას „სეჩენოვის დამსახურება ნერვული სისტემის ფიზიოლოგიის განვითარებაში“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის ა. ფრანგიშვილისას „სეჩენოვის დამსახურება მატერიალისტური ფსიქოლოგიის განვითარებაში“ და დოცენტ ბ. ანთელიძისას „სეჩენოვის ნაშრომების მნიშვნელობა სისხლის გაზების შესახებ“.

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება ფაბრიკა-ქარხნებში, დაწესებულებებში აწყობს ლექციებს ი. მ. სეჩენოვის შესახებ. (საკდესი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ლენინგრადის მეტრომშენის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ლენინგრადის მეტროპოლიტენის პირველი რიგის მშენებლობაში წარმატებითი მუშაობისა და მეტრომშენის ტექნიკის განვითარებაში მიღწევებისათვის დაჯილდოვდეს **ლენინგრადის მეტრომშენი ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1955 წლის 14 ნოემბერი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ლენინგრადის მეტროპოლიტენისათვის ვ. ი. ლენინის სახელის მიკუთვნების შესახებ

ქალაქ ლენინგრადის მშრომელთა სურვილის შესაბამისად მიენიჭოს ლენინგრადის მეტროპოლიტენს **ვ. ი. ლენინის** სახელი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1955 წლის 14 ნოემბერი.

იქ, სადაც პირველად აინთო „ილიჩის ნათურა“

სოფელ კაშინოს გლეხთა მიტინგზე ვ. ი. ლენინის გამოსვლის 35 წლისთავი

კაშინო. (მოსკოვის ოლქის ვოლოკოლამსკის რაიონი), 13 ნოემბერი. (საკდესი). დღეს სადღესასწაულოდ მოკაზმულა სოფელი კაშინო. სახლები მორთულია წითელი ალმებით, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტებით. ახლომახლო სოფლებიდან დილაადრიანივე მოვიდა აქ ავტომანქანებით ასობით კოლმეურნე. კაშინოელებთან სტუმრად მოვიდნენ აგრეთვე შეფები — მოსკოველი მუშები, ვოლოკოლამსკის მშრომელები. ხალხით გაივსო პატარა მოედანი სოფლის შუაგულში, სადაც აღმართულია წითელტილოგადაკრული იმპროვიზებული ტრიბუნა. ტრიბუნის პირდაპირ არის ქვის ლოდი, დაფარული თეთრი საბურველით.

კაშინოელ კოლმეურნეებს დღეს დიდი დღესასწაული აქვთ. ისინი თავიანთ მეზობლებთან ერთად აღნიშნავენ იმ დაუვიწყარი თარიღის 35-ე წლისთავს, როცა მათთან მივიდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი, გულითადად ესაუბრა გლეხებს და სიტყვა წარმოთქვა მიტინგზე.

ეს მოხდა 1920 წლის 14 ნოემბერს, როცა მუშები და მშრომელი გლეხობა შიმშილისა და ნგრევის პირობებში იარაღით აღჭურვილი იცავდნენ ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარს შინაურ და უცხოელ მტერთაგან.

მაშინ კაშინოელმა გლეხებმა, ვისი შემოქმედებითი ინიციატივაც, ისევე როგორც მთელი ხალხის ინიციატივა გააღვიძა დიდმა რევოლუციამ, ერთად ააშენეს პატარა ელექტროსადგური. სადგურის გახსნის ზეიმზე მათ ილიჩი მიიწვიეს. ვლადიმერ ილიას-ძესთან ერთად ჩამოვიდა აგრეთვე ნ. კ. კრუპსკაია. სოფელში ცოტა როდია მოხუცი — დიდ ბელადთან შეხვედრის მონაწილე. ბელადის სიტყვა მოისმინა სერგი სტეფანეს-ძე კაშკინმაც. დღეს ათობით ნაცნობი და უცნობი ადამიანი ეწვია მის ქოხს, სადაც ყველაზე საპატიო ადგილზე ჰკიდია დროისაგან ფერგადასული ფოტოსურათი: ვ. ი. ლენინი და ნ. კ. კრუპსკაია გადაღებული არიან ვლეხებთან და მათ შვილებთან. როგორც წმიდა რელიკვიას ინახავს ამ სურათს მოხუცი კოლმეურნე.

ღირსშესანიშნავი წლისთავის წინ მოხუცები ახალგაზრდობასთან საუბარში აღფრთოვანებით ლაპარაკობდნენ ამ ისტორიულ შეხვედრაზე. მათ მოიგონეს ლენინის თვითეული სიტყვა, მისი ყოველი ჟესტი, უამბეს ახალგაზრდობას, თუ რა მხურვალედ მიესალმა ილიჩი გლეხთა ინიციატივას.

ვ. ი. ლენინმა თქვა: — ჩვენ მშვიდობა გვესაჭიროება, რათა მოვიშუშოთ ჭრილობები, რათა შევუდგეთ გლეხური მეურნეობის აშენებას. ჩვენ ამას ვერ გავაკეთებთ, სანამ ყველა ჩვენს მტერს არ გავუსწორდებით.

— თქვენ ხედავთ, — თქვა ვლადიმერ ილიას-ძემ, — თქვენი სოფელი კაშინო ელექტრობას აწარმოებს. ეს მარტო ერთი სოფელია, მაგრამ ჩვენთვის საჭიროა, რომ მთელი ჩვენი ქვეყანა გაკაშკაშებული იყოს. საბჭოთა მთავრობა ახლა ადგენს ელექტროფიკაციის პროექტს. ელექტრობა დაგვიმუშავებს და გაგვიპატიჟებს მიწას, ელექტრობით ვიმგზავრებთ.

ლენინის გენიალური განჭვრეტა ახდა. ამის მკაფიო ილუსტრაციაა თვით კაშინო — „ილიჩის ნათურის“ სამშობლო, სადაც ელექტრობა საბჭოთა სოფელში პირველად აინთო 35 წლის წინათ. გლეხებმა შექმნეს კოლმეურნეობა, რომელსაც დაარქვეს „ილიჩის გზა“, ძირეულად გარდაქმნეს თავიანთი ცხოვრება. ელექტრობა დამკვიდრდა არა მარტო ყოფაცხოვრებაში, არამედ საარტელო წარმოებაშიც.

* * *

შუადღეა. ტრიბუნაზე ადიან კოლმეურნეობის ვეტერანები, მისი ხელმძღვანელები, მოსკოვიდან ჩამოსული სტუმრები — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის კომიტეტის მდივნები ი. ვ. კაპიტონოვი და ნ. ფ. იგნატოვი, მოსკოვის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. პ. ვოლკოვი, შეფი ორგანიზაციების წარმომადგენლები. ვოლოკოლამსკის რაიონმასკომის თავმჯდომარე ნ. ი. ზავიალოვი მიტინგს ხსნის. გაისმის საბჭოთა კავშირის ჰიმნი. ისტორიული შეხვედრის მონაწილე უხუცესი კოლმეურნეები საბურველს ხდიან გრანიტის მონოლითს. ქვაზე ოქროსფერი ასოებით წარწერილია:

აქ დაიდგმება
ვლადიმერ ილიას-ძე
ლენინის
ძეგლი.

პირველი სიტყვა ეძლევა კოლმეურნეს ეფროსინე იოსების ასულ მალოფეევას. მან ილაპარაკა დიდ ბელადთან შეხვედრაზე, რომელმაც ბედნიერი ცხოვრების ნათელი გზა დაუსახა გლეხებს.

მიტინგზე გამოვიდა აგრეთვე პარტიის მოსკოვის კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. კაპიტონოვი.

მიტინგი დამთავრდა. ორი საათის შემდეგ კოლმეურნეები იკრიბებიან საზეიმო კრებაზე რაიონული კულტურის სახლში, რომელიც მორთულია მშრუნველი ხელით. სცენის სიღრმეშია ვ. ი. ლენინის დიდი პორტრეტი, რომელიც ჩასმულია ცოცხალ ყვავილებში. იქვეა წითელი დროშა — ეს არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის კომიტეტის და მოსკოვის საოლქო აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც კოლმეურნეობას მიეკუთვნა მეცხოველეობაში შარშან მოპოვებული წარმატებებისათვის.

ტრიბუნაზეა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნ. მ. კორობანოვი. რამდენიმე მკაფიო ციფრითა და ფაქტით იგი უჩვენებს დამსწრეთ, თუ როგორ იზრდება და მდიდრდება კოლმეურნეობა.

კრების მონაწილეებმა დასასრულ იკისრეს კოლმეურნეობა „ილიჩის გზის“ სოციალისტური ვალდებულებანი 1956 წლისათვის.

პარტიული ცხოვრება

სამეცნიერო დაწესებულების პარტიული ორგანიზაცია

სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულების პარტიული ორგანიზაცია მოწოდებულია იდეურად დარაზმოს და აღზარდოს მეცნიერ მუშაკთა კოლექტივი, იბრძოლოს სამეცნიერო მოღვაწეობაში ცოცხალი შემოქმედებითი აზრის, ყოველივე ახლისა და მოწინავის დანერგვისათვის. მან არსებითი დახმარება უნდა გაუწიოს დირექციას მეცნიერული მუშაობის სწორად და მიზანდასახულად წარმართვაში, ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის კოლექტივი მუშაობს მიტად პასუხსაგებ სამეცნიერო პრობლემებზე — სწავლობს ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე შექმნილ დიდ მხატვრულ მემკვიდრეობას, ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური საბჭოთა ქართული ხელოვნების სხვადასხვა დარგს. წლების მანძილზე ინსტიტუტმა მოწოგრაფიულად, ხელოვნებათმცოდნეობის თვალსაზრისით დაამუშავა ქართული ხელოვნების სხვადასხვა დარგის ცალკეული ნიმუშები, აგრეთვე ძეგლთა მთელი ჯგუფები. ამის საფუძველზე ამჟამად დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს ქართული ხელოვნების სხვადასხვა დარგის ისტორიული განვითარების თავისებურებანი და უმთავრესი ეტაპები. აღსანიშნავია ჩვენში ამ საქმის პიონერის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, პროფესორ გ. ჩუბინაშვილის დიდი ღვაწლი.

ინსტიტუტი ეწეოდა პრინციპულ ბრძოლას ბურჟუაზიული კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ, ქართული ხელოვნების თვითმყოფადობის დასაცავად, აგრეთვე ქართულ ხელოვნებათმცოდნეობაში ნ. მარის ვულგარული სოციოლოგიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ.

ამავე დროს ინსტიტუტის მუშაობაში იყო ნაკლოვანებანი, რისთვისაც იგი დროულად და მკაცრად იქნა გაკრიტიკებული. ნაკლები ყურადღება ექცეოდა ქართული საბჭოთა ხელოვნების ისტორიის მეცნიერულ შესწავლას. ჩამორჩებოდა აგრეთვე წინაფეოდალური და XIX საუკუნის ქართული ხელოვნების ნიმუშების შესწავლა, სუსტი იყო შემოქმედებითს ორგანიზაციებთან კავშირი.

ინსტიტუტის კოლექტივი და პირველ რიგში კომუნისტები პასუხისმგებლობით მოეკიდნენ საბჭოთა საზოგადოებრიობისა და პარტიულ კრიტიკას, გაშალეს მუშაობა ინსტიტუტის საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. პერიოდულად, სათანადო წინასწარი შესწავლისა და მომზადების შემდეგ, ღია პარტიულ კრებებზე ფართო მსჯელობის საგანი ხდებოდა საკითხები: სამეცნიერო გეგმით გათვალისწინებული საბჭოთა თემატიკის შესრულების მიმდინარეობის, ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა კადრების აღზრდის, მეცნიერ თანამშრომელთა შორის იდეურ-პოლიტიკური მუშაობის, სამეცნიერო სესიების მომზადებისა და ჩატარების შესახებ და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებას. პარტიულ კრებებზე სისტემატურად განვიხილავთ საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ სრულებს ესა თუ ის კომუნისტი პარტიულ და საზოგადოებრივ დავალებებს.

კომუნიზმის მშენებლობის ყველა უბანზე დიდი მნიშვნელობა აქვს კომუნისტების ავანგარდულ როლს, მათს აქტივობას. ასევეა შემოქმედებითი ორგანიზაციების ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. ჩვენი ინსტიტუტის კომუნისტები — დოცენტი ვ. ბერიძე, ახალგაზრდა მეცნიერი თანამშრომლები ე. ალადაშვილი, ა. ვოლსკაია, ნ. ჯანბერიძე ხშირად იღებენ მონაწილეობას ხელოვნებათმცოდნეობის საკითხების საჯარო განხილვაში, დისპუტებში. ისინი ჟურნალ-გაზეთებში სტატიების გამოქვეყნებით საქმიანად ეხმაურებიან საბჭოთა ხელოვნების აქტუალურ საკითხებს.

აღსანიშნავია კომუნისტის, დოცენტ ზ. მაისურაძის მუშაობა ქართული საბჭოთა კერამიკის შესწავლისა და ახალი ტექნოლოგიური და მხატვრული ხერხების მიკვლევის ხაზით. ასევე ნაყოფიერია კომუნისტ ვ. ცინცაძის მეცნიერული კონსულტაცია და უშუალო მონაწილეობა ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების დაცვისა და აღდგენა-კონსერვაციის საქმეში.

კომუნისტების ინიციატივა და მოწინავე როლი ყოველთვის მისაბაძი მაგალითია უპარტიო მეცნიერთ თანამშრომლებისათვის. მაგრამ საბჭოთა ხელოვნების შემოქმედებითს პრაქტიკასთან კავშირის განმტკიცებისათვის ინსტიტუტის კოლექტივმა ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გააკეთოს.

პარტიული ორგანიზაცია ყოველმხრივ უწყობს ხელს და ავითარებს მეცნიერ თანამშრომელთა შორის კრიტიკასა და თვითკრიტიკას. ერთ-ერთი პარტიული კრების გადაწყვეტილებით ინსტიტუტმა საქართველოს არქიტექტორთა კავშირთან ერთად მოაწყო არქიტექტორთა შემოქმედებითი თათბირი, რომელიც მიეძღვნა მშენებელთა და არქიტექტორთა საკავშირო და რესპუბლიკური თათბირების შედეგებს. ამ მოკლე ხანში მოეწყობა საჯარო განხილვა ქართული საბჭოთა ხელოვნების ისტორიის იმ პროსპექტისა, რომელიც ინსტიტუტმა მოამზადა. ამ განხილვის და თვით პროსპექტის მომზადების დასაჩქარებლად ფართო მსჯელობა გაიმართა ღია პარტიულ კრებაზე. კრებიდან რამდენიმე ხნის გასვლის შემდეგ მოვისმინეთ მიღებული დადგენილების შესრულების მიმდინარეობა.

უკანასკნელი წლების განმავლობაში ინსტიტუტის დირექციისა და პარტორგანიზაციის მიერ გაწეულმა მუშაობამ დადებითი შედეგები გამოიღო. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ხელოვნების შესწავლა, საბჭოთა თემატიკა ინსტიტუტის სამეცნიერო ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა.

ჩვენი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა დიდად არის დამოკიდებული კადრების მარქსისტულ-ლენინურ აღზრდაზე. ყველა კომუნისტი და უპარტიო მეცნიერი თანამშრომელი წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის მეთოდით იმსჯელებს იდეურ დონეს.

პარტიული ორგანიზაცია წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეებისადმი კონტროლისა და დახმარებისათვის სხვადასხვა ხერხებს იყენებს. ვაწყობთ ინდივიდუალურ და კოლექტიურ გაუბრებას, რეფერატების კითხვას, ლექციებს, თეორიულ კონფერენციებს.

ინსტიტუტის პარტიულ ორგანიზაციას თავის მუშაობაში ნაკლიც აქვს. ნაკლოვანებათა შესახებ მთელი პირდაპირობით ილაპარაკეს კომუნისტებმა საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ გაიმართა. კომუნისტებმა აღნიშნეს, რომ ჯერ კიდევ მოისუსტებს კავშირი საბჭოთა ხელოვნების შემოქმედებითს პრაქტიკასთან. მათ გულისტკივილი გამოთქვეს იმის გამო, რომ ზოგჯერ ძნელდება სამეცნიერო შრომების დროულად და მაღალხარისხოვნად გამოცემა. მაგალითად, ორი-სამი წელია ჰიანურდება საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხუროთმოძღვრული ძეგლების გზისმკვლევების დაბეჭდვა. ძნელდება იმ ახალგაზრდა მეცნიერების სამუშაოზე განაწილება, რომლებმაც ასპირანტურა დაამთავრეს, მაშინ როცა კვალიფიციურ მეცნიერ-ხელოვნებათმცოდნეებზე დიდი მოთხოვნილებაა საქართველოს რესპუბლიკურ და სარაიონო მუზეუმებში.

ახლა, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა გაცხოველებით ემზადება სკკპ XX ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაცია მეტი პრინციპულობით იბრძოლებს ხელოვნებათმცოდნეობის აქტუალური პრობლემების გადასაწყვეტად და ამით ხელს შეუწყობს ქართული საბჭოთა ხელოვნების შემდგომ აღმავლობას.

ს. კინწურაშვილი,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის პარტორგანიზაციის მდივანი.

ლენტეხის რაიონში

ელექტროსადგურის მშენებლობა

სოფელ ლენტეხში ძველი 25-კილოვატიანი ელექტროსადგურია. იგი ვერ აკმაყოფილებს რაიონის ცენტრის მოთხოვნილებას ელექტროენერგიაზე. ამჟამად მდინარე ლასკადურაზე დაიწყო ახალი 300-კილოვატიანი სიმძლავრის ელექტროსადგურის მშენებლობა, რაშიც აქტიურად მონაწილეობს რაიონის მოსახლეობა. ისინი იბრძვიან იმისათვის, რომ მომავალი წლის 7 მოემბერს საექსპლოატაციოდ გადასცენ ახალი ჰიდროელექტროსადგური, რომელიც მომსახურებას გაუწევს რაიონის ცენტრს, სოფლებს ბავარს, ხაჩეშს, ხელელს, ფაუს, ბაბილს, მელურას და სხვ.

საცხოვრებელი სახლები

მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლების მრავალ ახალ-ახალ ფაქტს ვხედებით ლენტეხის რაიონის ცენტრსა და სოფლებში. აქ ძველი ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლები თითქმის მთლიანად ორსართულიანი კეთილმოწყობილი კაპიტალური შენობებით შეიცვალა. რაიონში ყოველწლიურად საშუალოდ 40-60 ახალი სახლი შენდება. მარტო წელს რცხმელურის, ხოფურის, ხელედისა და ლენტეხის სასოფლო საბჭოებში 52 ახალი ორსართულიანი კაპიტალური საცხოვრებელი სახლი აშენდა.

დახმარება მრავალშვილიან დედებს

რაიონში მრავალშვილიანი და მარტოხელა დედები ყოველთვიურად მრავალ ათას მანეთს დახმარებას იღებენ. წელს ათი თვის განმავლობაში მუდმივი და ერთდროული დახმარების სახით მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს მიეცათ 691.050 მანეთი.

თერთმეტი შვილის დედებს — სოფელ ჭველიერის მცხოვრებს მ. კვასტიანს, სოფელ ლუჯის მცხოვრებს ლ. მუკბანიანს და სოფელ ვეიმბრალის მცხოვრებს ო. მუსელიანს შვილების აღსაზრდელად სახელმწიფოსაგან დახმარების სახით მიღებული აქვთ თვითეულს 45.100 მანეთი.

სასოფლო ბიბლიოთეკები

მოსახლეობის კულტურული მომსახურებისათვის რაიონში ყოველწლიურად მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება. წელს ჩიხარეშსა და რცხმელურში გაიხსნა ახალი სასოფლო ბიბლიოთეკები, რომლებსაც 2.000 ცალამდე მხატვრული, პოლიტიკური და სასოფლო-სამეურნეო ხასიათის წიგნი გადაეცა.

ა. ბეშიძე,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მექანიზებული ფერმის მშენებლობა

თეთრი წყაროს. (საკ. კორ.). დაბა თეთრი წყაროს ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობაში იზრდება საზოგადოებრივი მეცხოველეობის როგორც სულადობა, ისე პროდუქტიულობა. ამასთან დიდება ფულადი შემოსავალი, რაც კოლმეურნეობას საშუალებას აძლევს გაფართოოს საკოლმეურნეო მშენებლობა.

წელს კოლმეურნეობამ დაიწყო მექანიზებული ფერმის მშენებლობა 100 სული ძროხისათვის. მშენებლობა ძირითადად დამთავრებულია, დადგმულია ცემენტის ბაგები და ავტომატური სარწყულებლები, გამოყვანილია წყალი, აგებულია ორი სასილოსე კოშკი. ამჟამად მიმდინარეობს საკვები განყოფილების მოწყობა. აქ დაიდგმება საკვები ძირხვენების დასაჭრელი და გასარეცხი მანქანა და უნივერსალური წისქვილი. მომდინარეობს სპეციალური გზის გაყვანა საკვების შემოსაზიდად და ნაყელის გასატანად.

მშენებლებს გადაწყვეტილი აქვთ ფერმა საექსპლოატაციოდ გადასცენ მომდინარე წელსვე.

პრესის მიმოხილვა

საქართველოს კედლის გაზეთი ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში

ქარხნის ცენტრალურ მოედანზე, მექანიკური საამქროს პირდაპირ, იქ, სადაც მწვანით შემოსილი გაზონებია, საკმაოდ მოზრდილ ჩარჩოში ყოველი თვის ბოლოს იკვრება საქართველო კედლის გაზეთი „მანქანათმშენებლის“ ახალი ნომერი. შესვენებისას აქ თავს იყრიან მუშები, ოსტატები, სპეციალისტები, ყურადღებით კითხულობენ წერილებს, შენიშვნებს... ყველაფერი თითქოს ნაცნობია, — ეს ხომ მათ თვალწინ ხდება, — მაგრამ ისე მოსწრებულად, საქმიანად არის ნათქვამი, რომ შეუძლებელია არ დაინტერესდეს მკითხველი.

ყველას ახსოვს, როგორი გამოსმაურება ჰპოვა წერილებმა თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის სამსხმელო საამქროს ნაკლოვანებებზე, საამქროსი, რომელიც უშვებდა წუნს, არღვევდა ქარხნის მექანიკური და ამწყობი საამქროების რიტმულ მუშაობასაც.

მარტის დასასრულს, როცა ჯერ კიდევ საფუძვლიანად არ იყო შესწავლილი მსმენელთა მუშაობის აგარგი, ის, თუ რატომ უშვებდნენ უხარისხო პროდუქციას, კედლის გაზეთმა მოამზადა და გამოაქვეყნა ს

წერილი რედაქციას

საჭიროა მეჯი მზრუნველობა

მესამე წელია, რაც სამგორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა ჩამოყალიბდა. ტიტველი ველები უკვე ბაღ-ვენახებით შეიმოსა. 500-მდე მუშა-მოსამსახურე და სპეციალისტი თავდადებით მუშაობს მეურნეობაში. ბევრი მათგანი სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეა. მაგრამ აქ ნაკლებად ზრუნავენ მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. დღემდე მეურნეობის მუშა-მოსამსახურენი უზრუნველყოფილი არ არიან სასმელი წყლით, საცხოვრებელი ბინებით, საქონლის მომსახურებით, ელექტროშუქით და სხვ. სხვადასხვა მიზეზების გამო მაღაზია და სასადილო კვირეების განმავლობაში დაკეტილია. მეურნეობის მუშაკები მოკლებული არიან შესაძლებლობას ადგილზე შეიძინონ პირველი მოთხოვნილების საგნები. ეს კარგად იციან გარეუბნის რაიონის ხელმძღვანელმა მუშაკებმა, მაგრამ რატომღაც არავითარ ზომებს არ იღებენ.

სამგორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშაკთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას ყურადღება უნდა მიექცეს.

გ. ხატისკაცი,

სამგორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის უფროსი ეკონომისტი.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„უკეთ გავაშუქოთ ადგილობრივი ცხოვრება"

„კომუნისტში" ამას წინათ ამ სათაურით გამოქვეყნებული იყო მიმოხილვა მესტიის რაიონული გაზეთის „კოლექტიური შრომის" მუშაობის შესახებ.

პარტიის მესტიის რაიონულმა კომიტეტმა გაზეთ „კოლექტიური შრომის" მუშაობის საკითხი განიხილა რაიკომის ბიუროზე. გაზეთის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით ბიურომ დაავალა რედაქციას გადამჭრელი ზომები მიიღოს გაზეთის იდეური დონის ამაღლებლად, ადგილობრივი ცხოვრებიდან აღებული კონკრეტული ფაქტებით ფართოდ გაშუქოს რაიონის კოლეკტიურნეობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლების საკითხები, ყოველდღიური მუშაობის ცენტრში დააყენოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების დადგენილებებიდან გამომდინარე ამოცანები, გააფართოოს კორესპონდენტთა ქსელი, მტკიცედ დანერგოს გაზეთის მუშაობაში გეგმიანობა. მესტიის რაისაბჭოს აღმასკომს დაევალა სტამბის შენობის კეთილმოწყობა, სასტამბო და საშრიფტო მეურნეობის მოწესრიგება და სტამბის ნორმალური მუშაობისათვის სხვა საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

დასასრულ იქნა ოგრეთვე ღონისძიებანი პარტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის მიერ გაზეთისადმი ხელმძღვანელობისა და დახმარების გაუმჯობესებისათვის.

ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘ. საავტომობილო ქარხნის ეზოში. ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: ქარხნის მიერ დამზადებული ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში გასაგზავნი ცემენტსაზიდი ავტომანქანების კოლონა.

ფოტო დ. კაკიტელაშვილისა.

დავნერგოთ მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდები

საუბარი საქსოფლპროექტის მთავარ ინჟინერთან ამხ. ვ. ჩხეიძესთან

სოფლის მეურნეობის მძლავრმა აღმავლობამ, რაც მიღწეულია პარტიისა და მთავრობის უფდმიგი მზრუნველობით, დღის წესრიგში დააყენა საკოლმეურნეო და სასოფლო მშენებლობის დიდი მასშტაბით წარმოება. ამიტომ გასაგებია დიდი პასუხისმგებლობა დამპროექტებლებისა, რომლებიც გეგმავენ საკოლმეურნეო და სასოფლო ნაგებობებს.

— საქსოფლპროექტის არქიტექტორებმა, დამპროექტებლებმა მნიშვნელოვნად გარდაქმნეს მუშაობა მშენებლებთა საკავშირო თათბირის შემდეგ, გადასინჯეს, შეასწორეს და გაამართვეს მთელი რიგი სამშენებლო ობიექტების პროექტები: მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი, — განაცხადა ამხ. ჩხეიძემ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „დაპროექტებასა და მშენებლობაში ზედმეტობის აღმოფხვრის შესახებ" შემდგომი მუშაობის ნათელ გზას გვიასახავს.

თქმა არ უნდა, ჩვენც ვერ ავცდით დაპროექტებაში არქიტექტურულ ზედმეტობას. ამის შედეგია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ადმინისტრაციული სახლის პროექტი. გადასინჯვის შემდეგ ბევრი ზედმეტობა ამოვიღეთ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლის პროექტიდან (ავტორები ნ. ფირცხალაშვილი და გ. თავდგირიძე). შენობიდან მოიხსნა კოშკი, გამარტივდა ფასადი. ამან თითქმის ნახევარი მილიონი მანეთი ეკონომია მოგვცა, თვითეული კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის მშენებლობის ხარჯები 425 მანეთით შემცირა.

ჩვენი პროექტით ჩარნალის (ბათუმის რაიონი) ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში აშენდა მუშათა სასადილო თორმეტსვეტიანი აივნით, რომელიც მოირთო რთული კაპიტელებით. სხვა მეურნეობებისათვის პროექტი ძირფესვიანად გადამუშავდა, რითაც მშენებლობის ღირებულება 10.15 პროცენტით შემცირდა.

განსაკუთრებით დიდი ეფექტია მიღწეული საბჭოთა მეურნეობებში ეგრეთწოდებული „ცენტრალური დასახლების" დაპროექტებაში. ურთის (ხობის რაიონი) ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის მუშათა „ცენტრალურ დასახლებაში" რაციონალურად არის შერჩეული შენობათა განლაგება, მოხდა მათი დაჯგუფება, სართულების აწევა, შემცირდა მისასვლელებისა და ქუჩების ქსელი, კანალიზაციის, წყალსადენისა და ელექტროგაყვანილობის ხარჯები. ამან 760 ათასი მანეთი ეკონომია მოგვცა. მახარაძის რაიონის ნარუჯის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დასახლების დაპროექტებაში მოხდა მსგავსი შესწორებები, ამასთან ჩვენი პროექტით განხორციელდა სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია, რითაც მიღწეულ იქნა 15,7 მილიონი მანეთი საერთო ეკონომია.

ამჟამად დიდ მუშაობას ვეწევით საკოლმეურნეო ნაგებობათა ტიპურ დაპროექტებაზე, რაც აადვილებს მშენებლობაში ინდუსტრიული მეთოდების დანერგვას. საძროხეების, საღორეებისა და საფრინველეების ჩვენმა ტიპურმა პროექტებმა, რომლებიც გათვალისწინებულია სეისმური რაიონებისათვის, დიდი მოწონება დაიმსახურა საბჭოთა კავშირის ბევრ რესპუბლიკაში. პროექტები დამუშავებულია ბაკის სხვადასხვა პირობებისა და ადგილობრივი საშენი მასალის გამოყენების შესაბამისად.

დაგაპროექტეთ ტრაქტორებისა და მისაბმელი იარაღ-მანქანების ფარდულები, რომელიც მთლიანად ასაწყობი რკინაბეტონით აიგება. კონსტრუქციული ელემენტების დამზადება შესაძლებელია საქარხნო ან პოლიგონური წესით, აწყობას კი სულ 5-7 დღე დასჭირდება.

ინდუსტრიული მეთოდით შენდება მშენებელი მუშების საცხოვრებელი სახლები თბილისში (ავტორები ა. სოლოვიოვი და ვ. ვასილაძე). შენობები მთლიანად აიგება რკინაბეტონის დიდი პანელებით, აწყობა აწარმოებს კომკომური ამწის საშუალებით.

არქიტექტორმა მ. კაკაბაძემ შექმნა ეკონომიურად მოხერხებული, სადა და ლამაზი კომპოზიცია სოფლის მეურნეობის მუშაკთა დასასვენებელი სახლისა ქობულეთში. არქიტექტორები გ. გაბაშვილი და ი. მარღიშვილი ამუშავებენ დასასვენებელი სახლის პროექტს ძლიერ რთული რელიეფის პირობებში. შენობების გეგმები დამკვეწილია, თავიდან აცილებულია არქიტექტურული ზედმეტობანი.

მშენებლობასა და დაპროექტებაში ნაკლოვანებათა აღმოფხვრა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. ამ მხრივ საქსოფლპროექტს ჯერ კიდევ სერიოზული ხარვეზები აქვს. კერძოდ, ეს ითქმის ტიპური პროექტების დამუშავებაზე. ვერ დაკმაყოფილებთ იმ მზარდ მოთხოვნილებებს, რომლებსაც კოლმეურნეობები გვიყენებენ.

საქსოფლპროექტში ნომუშავე დამპროექტებლები გულდასმით გაეცნენ პარტიისა და მთავრობის ახალ დადგენილებას, იკისრეს გარდქმნან მუშობა თანამედროვე მოთხოვნილების შესაბამისად, ხელი შეუწყონ მშენებლობის დაჩქარებასა და გაიაფებას.

ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი ჟენევაში

განიარაღების საკითხის განხილვა

ᲟᲔᲜᲔᲕᲐ, 12 ნოემბერი. (საკუთარი). 10 და 11 ნოემბრის სხდომებზე ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრები განიხილავდნენ თათბირის დღის წესრიგის მეორე პუნქტს — განიარაღების შესახებ.

ამ საკითხზე სიტყვა პირველს მიეცა საბჭოთა დელეგაციის მეთაურს ვ. მ. მოლოტოვს. გაიხსენა რა, რომ განიარაღების პრობლემის დიდი მნიშვნელობა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მოწყლეებული საერთაშორისო პრობლემისა, ხაზგასმით აღნიშნეს ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურებმა, მოლოტოვმა მოიყვანა ციტატი მთავრობათა მეთაურების დირექტივებიდან, რომლებმაც საგარეო საქმეთა მინისტრებს დაავალეს „იმსჯელონ, აქვს თუ არა შესაძლებლობა ოთხ მთავრობას გამოიჩინონ შემდგომი საერაგებლო ინიციატივა განიარაღების დარგში".

ამ დირექტივებსა და გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებებს შეესაბამება საბჭოთა კავშირის 10 მაისის წინადადება, რომელშიც აღძრულია საკითხი, რომ საჭიროა გადაიდგას დაუყოვნებლივი ნაბიჯები საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მიზნით და სახელმწიფოთა შორის ნდობის შექმნის მიზნით და პირველ რიგში შეწყდეს „ცივი ომი" და ახალი ომის პროპაგანდა.

ჩამოაყალიბა რა საბჭოთა წინადადების არსი, მოლოტოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი დაეთანხმა დასავლეთის სახელმწიფოთა წინადადებებს ხუთი დიდი სახელმწიფოსათვის შეიარაღებული ძალების შეზღუდული დონეების, ატომური იარაღის საბოლოო აკრძალვის ძალაში შესვლის გადებისა და სახელმწიფოთა შეიარაღებიდან მისი ამოღების, შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის ღონისძიებათა სტადიობით განხორციელების საკითხებზე.

შემდეგ, მოლოტოვმა ჩამოაყალიბა საბჭოთა წინადადების დებულებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სათანადო საერთაშორისო კონტროლს შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვისადმი.

არ უარუყვია რა ტექნიკური სიძნელენი ატომური იარაღის აკრძალვასს სახელმწიფოების ვალდებულებათა შესრულებისადმი კონტროლის დაწესებაში, მოლოტოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სწორედ ამიტომ ახლანდელ პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა ატომური იარაღის გამოყენების მორალურ-პოლიტიკურ დაგმობას. მან თქვა: ოთხ სახელმწიფოს რომ ეკისრა ვალდებულება პირველებმა არ გამოიყენონ ატომური და წყალბადის იარაღი, ასეთი ვალდებულება ღირსშესანიშნავი ნიშანსვეტი იქნებოდა ხალხთა ბრძოლაში მშვიდობისა და ნამდვილი უშიშროებისათვის.

შეეხო რა მტკიცებას, რომ განიარაღების პრობლემის გადაჭრა უნდა დავიწყოთ კონტროლის დაწესების საკითხის გადაჭრითო, საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა თქვა, რომ ასეთი მტკიცება ნამდვილად ნიშნავს ცდას გამალებული შეიარაღების შეწყვეტის ამოცანის გადაჭრა შეცვალოთ მსჯელობით კონტროლის დაწესების ყოველგვარ სიძნელეზე. ეს მხოლოდ ხელ-ფეხს გაუხსნიდა ისათ, ვინც დაინტერესებულია გამალებული შეიარაღებით და ისწრაფვის თავისი მიზნებისათვის გამოიყენოს ატომური ომის საფრთხე.

გადავიდა რა პრეზიდენტ ეიზენჰაუერის წინადადებაზე სსრ კავშირსა და აშერიკის შეერთებულ შტატებს შორის აეროფოტოგადაღებისა და სამხედრო ინფორმაციის გაცვლის შესახებ, მოლოტოვმა აღნიშნა, რომ ეს წინადადება მოწყვეტილია გამალებული შეიარაღების შეწყვეტის საკითხს და ფაქტიურად დაკავშირებული არ არის ამ ამოცანასთან. მაგრამ საბჭოთა კავშირი მზად არის კეთილმოსურნეობით მოიკიდოს აღნიშნულ წინადადებას, რაკი მხედველობაში აქვს, რომ საჰაერო ფოტოგადაღებას, როგორც კონტროლის ერთ-ერთი ფორმის, საკითხი განხილულ იქნება სათანადო საერთაშორისო შეთანხმების შესრულებისადმი კონტროლის დაწესებასთან დაკავშირებით შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის ღონისძიებათა განხორციელების დამამთავრებელ სტადიაში.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის ფორისა და ინგლისის პრემიერ-მინისტრის იდენის წინადადებანი ყურადღებით შესწავლის ღირსია განიარაღების ამოცანების გადაჭრასთან დაკავშირებით.

დასასრულ საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა თათბირის განსახილველად შეიტანა სსრ კავშირის მთავრობის ახალი წინადადება. (წინადადება ქვეყნდება ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში).

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მეთაურმა **დალესმა** თავისი გამოსვლა დაიწყო განცხადებით, თითქოს საბჭოთა კავშირის პოზიციის შედეგად თათბირზე გამოვლინდა „ნდობის ერთგვარი დაკარგვა". ეს დაუსაბუთებელი მტკიცება, როგორც ჩანს, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს იმისთვის დასჭირდა, რომ უკან დაეხია შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხზე თითქოს უკვე შეთანხმებულ წინადადებათაგან. და მართლაც დალესმა თავისი გამოსვლა ძირითადად მიუძღვნა პრეზიდენტ ეიზენჰაუერის წინადადებას აეროფოტოგადაღებისა და სამხედრო ინფორმაციის გაცვლის შესახებ. განაცხადა რა, რომ „წარმატება განიარაღების დარგში დამოკიდებული იქნება ეფექტიანი ინსპექციისა და კონტროლის შექმნაზე", დალესმა ამასთან ერთად ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ამჟამად განიარაღებას არ აპირებენ.

შემდეგ გამოდგა **პინე.** მან განაცხადა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრებს ახლა „არ შეუძლიათ" გამოიყენონ განიარაღების საერთო გეგმა. მან მოიწოდა გამოძებნონ შეთანხმება ზოგიერთი წინასწარი ღონისძიების შესახებ. პინეს თქვა, რომ მას მხედველობაში აქვს პრეზიდენტ ეიზენჰაუერის წინადადება, წინადადება საკვანძო პუნქტებში საკონტროლო პოსტების დაწესების შესახებ, რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა ჩამოაყალიბა, აგრეთვე წინადადება „სამხედრო ხარჯებისა და ბიუჯეტების შესახებ ცნობების ფართო საჯაროობის" უზრუნველყოფის თაობაზე.

პინეს შემდეგ **გამოსული მაკმილანი** მტკიცებდა, რომ განიარაღების საკითხზე შეთანხმებული წინადადება თითქოს არ შეიძლება განხორციელდეს ამჟამად, რამდენადაც მიღწეული არ არის შეთანხმება საერთაშორისო ინსპექციისა და კონტროლის სისტემის შესახებ. ეს, ამტკიცებდა მაკმილანი, იმიტომ ხდება, რომ საბჭოთა წინადადება კონტროლის შესახებ „საკმაო არ არის", აგრეთვე იმის გამო, რომ ძნელია ატომგულის იარაღისადმი კონტროლი. მაკმილანმა თათბირის განსახილველად შეიტანა ოთხ სახელმწიფოს დეკლარაციის პროექტი განიარაღების შესახებ.

ეს პროექტი შეიცავს მხოლოდ სურვილს, რომ „საჭიროა შეიარაღების შეზღუდვა და შემცირება", მაგრამ არ შეიცავს არც ერთ პრაქტიკულ ნაბიჯს, რომელიც იწვევდეს სახელმწიფოთა შეიარაღების შემცირებასა და ატომური იარაღის აკრძალვას.

დალესი, რომელიც 11 ნოემბრის სხდომაზე პირველი გამოვიდა, როგორც წინა სხდომაზე, იცავდა პრეზიდენტ ეიზენჰაუერის წინადადებას როგორც დაძაბულობის შენელებისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯს. დალესი ამტკიცებდა: საბჭოთა დელეგაციის წინადადება, რომ ოთხმა სახელმწიფომ ატომური და წყალბადის იარაღის სრული აკრძალვის შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლამდე იკისრონ საქვეყნო ვალდებულება არ გამოიყენონ ატომგულის იარაღი, თითქოს „მხოლოდ დაპირებაა".

პინემ, რომელიც დალესის შემდეგ გამოვიდა, ილაპარაკა იმაზე, რომ ატომგულის იარაღისადმი „კონტროლის მეთოდები სრულყოფილი არ არის".

შემდეგ გამოვიდა **მაკმილანი,** რომელიც ცდილობდა გაეპირისპირებინა დასავლეთის სამი სახელმწიფოს უყანდახვეა შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის დარგში შეთანხმებულ წინადადებათაგან. ამასთან იგი იმოწმებდა „ცვლილებებს", რომლებიც თითქოს მოხდა „როგორც ტექნიკური, ისე პოლიტიკური მხრივ". მან აგრეთვე თქვა, რომ განიარაღება ამჟამად შეუძლებელია, რადგან არ არსებობს საჭირო ნდობა.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა **მოლოტოვმა** გააკრიტიკა დასავლეთის სამი სახელმწიფოს პროექტი განიარაღების შესახებ. მან ცხადყო, რომ ეს პროექტი არ შეეფერება გამალებული შეიარაღების შეწყვეტის მიზნებს და რომ, უფრო მეტიც, იგი ეწინააღმდეგება ამ მიზნებს. პროექტი არ შეესაბამება გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიღებულია 1946 და 1954 წლებში.

პირდაპირ უნდა თქვას, განაცხადა მოლოტოვმა, რომ, გუშინ შემოტანილი წინადადების მიხედვით, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებზე უარი თქვეს თავიანთ საკუთარ წინადადებებზე განიარაღების შესახებ, რომლებიც მათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შეიტანეს შარშან...

გამოდის ასე: როგორც კი დაისახა შესაძლებლობა ოთხი სახელმწიფოს შეთანხმებისა განიარაღების მთელ რიგ ძირითად საკითხებზე, განსაკუთრებით საბჭოთა მთავრობის მიერ მისი 10 მაისის წინადადების შემოტანასთან დაკავშირებით, სამმა სახელმწიფომ დაიწყო უკანდახევა, და არარად აქცია შეთანხმების გზაზე მიღწეული წარმატებანი.

გადავიდა რა დასავლეთის სამი სახელმწიფოს პროექტის ცალკეული პუნქტების ანალიზზე, მოლოტოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ პროექტში ატომური და წყალბადის იარაღი მოქცეულია სხვა სახეობათა იარაღის რაკლში. ამით, თქვა მან, იხსნება პრობლემა ატომგულის იარაღის, როგორც მასობრივი მოსახობის იარაღისა, რომელიც განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს ხალხებისათვის. როგორც მოლოტოვმა აღნიშნა, დასავლეთის სამი სახელმწიფოს პროექტი ფაქტიურად ხსნის საკითხს ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ და კიდევაც ლეგალურს ხდის მას.

შემდეგ საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა აღნიშნა, რომ ტექნიკურ სიძნელეთა საბაბით დასავლეთის სახელმწიფოები მოითხოვენ შეჩერებულ იქნას შემდგომი ღონისძიებანი შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვისადმი. მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოები, როცა კონტროლსა და ინსპექციაზე ლაპარაკობენ, იკიდებენ, რომ საჭიროა შეიარაღების შემცირება და ატომური იარაღის აკრძალვა. თუ გამალებული შეიარაღება გაგრძელდა, ჩვენ კი დავიწყებთ დისკუსიას კონტროლისა და ინსპექციის დეტალებზე, თქვა მოლოტოვმა, ხომ არ იქნება ეს მხოლოდ ხალხთა სიფხიზლის მიძინება და მხოლოდ ხელშეწყობა შეიარაღების შემდგომი შეუფერხებელი ზრდისა და ატომური და წყალბადის იარაღის მარაგის დაგროვებისადმი?

მოლოტოვმა ხაზგასმით აღნიშნა: საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ არსებულ მდგომარეობაშიც არის შესაძლებლობა მიღწეულ იქნას წარმატება განიარაღების საქმეში: ჯერ-ერთი, ატომური იარაღის მორალურ-პოლიტიკური დაგმობის და მისი სრული აკრძალვის მიმართულებით პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმით და, მეორე, საკონტროლო პუნქტების შექმნით, რომლებსაც ლაპარაკია საბჭოთა ელეგაციის წინადადებაში. დასავლეთის სახელმწიფოები კი ცდილობენ დამტკიცონ, თითქოს საერთოდ ამჟამად შეუძლებელია განხორციელდეს ღონისძიებანი შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვისათვის.

გადავიდა რა ნდობის საკითხზე, რომელზეც დასავლეთის სამი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრები ლაპარაკობდნენ, მოლოტოვმა მოიწოდა, ნუ დაადგებით ურთიერთასაყვედურის გზასო, განა უმჯობესი არ არის, თქვა მან, ვიაროთ სხვა გზით: ვეცადოთ საქმით გადადგათ ნაბიჯი სახელმწიფოთა შორის და უწინარეს ყოვლისა დიდ სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცებისაკენ, ურომლისოდაც განიარაღების პრობლემა ვერ გადაიჭრება. ამ მიზნებს, ხაზგასმით აღნიშნა მოლოტოვმა, ექვემდებარებიან საბჭოთა კავშირის 10 მაისის წინადადებანი.

საბჭოთა დელეგაციას მიაჩნია, განაცხადა დასასრულ მოლოტოვმა, რომ ამ თათბირზე ჩვენ შეგვიძლია შევთანხმდეთ ზოგიერთ საკითხზე, და პირველ რიგში, იმ საკითხებზე, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენ შორის მიღწეული იყო შეთანხმება. იმ საკითხებზე კი, რომლებზეც ვერ მოვახერხებთ ჩვენი აზრების შეთანხმებას, შეიძლებოდა მიგვეცა შეთანხმებული რეკომენდაციები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სათანადო ორგანოებში მათი შემდგომი განხილვის შესახებ.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურის გამოსვლის შემდეგ მინისტრები განაგრძობდნენ აზრთა ურთიერთ გაზიარებას თათბირის დღის წესრიგის მეორე პუნქტზე.

განიარაღების საკითხის განხილვა გაგრძელდება 12 ნოემბრის სხდომაზე. 11 ნოემბრის სხდომის თავმჯდომარემ მოლოტოვმა განაცხადა, რომ ოთხი მინისტრი მივიდა შეთანხმებულ გადაწყვეტილებამდე თათბირი დამთავრდეს მისი მუშაობის მესამე კვირის ბოლოს, როგორც ეს წინათაც იყო დათქმული.

ᲒᲐᲕᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲝᲗ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐ

რუსული ენის სწავლებას ქართულ სკოლებში დიდი ყურადღება ექცევა. მოსწავლეები ინტერესით ეუფლებიან რუსულ ენას, როგორც მეორე მშობლიურ ენას და სწავლობენ მდიდარ რუსულ ლიტერატურას.

საკმარისი მაგალითები გვაქვს, რომ საშუალო სკოლაში ახალგაზრდები ისე კარგად ეუფლებიან რუსულ ენას, რომ განაგრძობენ სწავლას მოსკოვის, ლენინგრადისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში.

რუსული ენის სწავლების კარგად დაყენების საკითხს წყვეტს უწინარეს ყოვლისა კადრების შემადგენლობა. ჩვენს რესპუბლიკაში არიან რუსული ენის გამოცდილი მასწავლებლები. მაღალხარისხოვან გაკვეთილებს ატარებენ მასწავლებლები: ა. ნეიერიძე (39-ე საშუალო სკოლა), ე. ბურჯანაძე (53-ე საშუალო სკოლა), ო. შელია, ა. ბერუჩაშვილი (1-ლი საშუალო სკოლა), ე. გიორგობიანი (მე-5 საშუალო სკოლა), თ. მრევლიშვილი (29-ე საშუალო სკოლა) და მრავალი სხვა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა შარშან გადაამზადა 363 მასწავლებელი. გარდა ამისა, რუსული ენის სწავლების კარგად დაყენებისათვის ის მასწავლებლები, რომლებსაც არა აქვთ სპეციალური განათლება, ჩაბმული არიან დაოსებულ სწავლებაში.

ამ უკანასკნელ ხანს სკოლებში გამახვილდა ყურადღება გრამატიკის შეთვისებაზე და სიტყვათა მარაგის გამდიდრებაზე. ჩვენი სკოლების მე-9, 10, 11 კლასებისათვის განკუთვნილია პროფესორ გ. ახვლედიანის გრამატიკის სახელმძღვანელო, რომელიც იმით არის კარგი, რომ მოყვანილია შედარებები ზოგიერთი ენობრივი მოვლენისა მშობლიურ ენასა და რუსულ ენაში. მაგრამ სახელმძღვანელოში ნაკლებად არის სავარჯიშოები, რაც აუცილებელია ჩვენი მოსწავლეებისათვის.

რუსული ლიტერატურის შესწავლა წელს მე-9, 10, 11 კლასებში უფრო გაადვილდა, რასაც ხელს უწყობს რუსული ლიტერატურის ქრესტომათიები, რომლებმაც წელს გადამუშავების შემდეგ სახელმძღვანელოს სახე მიიღეს.

ჩვენს სკოლებში განმტკიცდა რუსული ლიტერატურული წრის მუშაობის ტრადიცია. ლიტერატურულ წრეში მუშაობენ უფროსი კლასების მოსწავლეები, რომლებმაც კარგად იციან რუსული ენა; მასწავლებლის ხელმძღვანელობით ლიტერატურული წრის წევრები წერენ მოხსენებებს მათთვის საინტერესო ლიტერატურულ თემებზე, აწარმოებენ მხატვრულ კითხვას, მხატვრული ნაწარმოების ინსცენირებას და სხვ.

ამგვარა მუშაობა ბევრ სკოლაში ეწყობა, განსაკუთრებით თბილისის 1-ლ საშუალო სკოლაში, სადაც უკვე 15 წელია ლიტერატურული წრის მუშაობას ხელმძღვანელობს რუსული ენის მასწავლებელი ვ. ჩხენკელი. შარშან სკოლაში გაიმართა საღამო, სადაც აღინიშნა რუსული ლიტერატურული წრის არსებობის 15 წლისთავი. საღამოს დაესწრნენ 1-ლი სკოლის ყოფილი მოსწავლეები, რომლებიც ამ წრეში მუშაობდნენ. საღამო გახსნა ლიტერატურული წრის ყოფილმა წევრმა ც. მშვიდობაძეს, ამჟამად ექიმმა. მოგონებებით წრეში მუშაობის შესახებ გამოვიდნენ არქიტექტორი ს. კინწურაშვილი, რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობი ჯ. მახარაძე, სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლაბორანტი ა. გვახარია და სხვ.

ამას გარდა, აღნიშნულ სკოლაში წარმოებს მუშაობა სავალდებულო კლასგარეშე კითხვაში. ყველა კლასისათვის გამოყოფილია პროგრამაში გათვალისწინებული წასაკითხავი წიგნების სარეკომენდაციო სია. მოწინავე მოსწავლეები წიგნებს არა მარტო კითხულობენ, არამედ ახდენენ სისტემატურ ჩანაწერებს, რომლებსაც კონტროლს უწევს მასწავლებელი.

გამოცდილების გაზიარებას დიდი მნიშვნელობა აქვს რუსული ენის სწავლების უკეთ დაყენებისათვის. საერთო კრებაზე მასწავლებლები გამოდიან მოხსენებებით თავიანთი გამოცდილებიდან. ამავე მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ გამოსცა მთელი რიგი მეთოდური წერილები.

ამ დადებით მხარეებთან ერთად არის სერიოზული ნაკლოვანებებიც. ყოველწლიურად ჩვენს რიგებს ემატება ახალი კადრები, როლებიც სპეციალ უ რ ი განათლებით არიან, მაგრამ ნაკლები გამოცდ ი ლ ებ ა აქვთ. ეს ახალგაზრდა მასწავლებლები ხშირად ეტუმრებიან ხოლმე თბილისის განათლების პედაგოგიურ კაბინეტს სხვადასხვა მეთოდურ საკითხზე კონსულტაციისათვის. სამწუხაროდ, ზოგიერთი მასწავლებელი ნაკლებად იყენებს ამ შესაძლებლობას, არ მუშაობს თავისი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

წელს განსაკუთ რ ე ბ ი თ დიდ ყურადღებას მოითხოვენ მე-7 და მე-8 კლასები ათწლიან სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით. მე-8 კლასში ნაწილობრივ გადატანილია მასალა მე-9 კლასის პროგრამიდან. მასწავლებელსაც და მოსწავლეებსაც დიდი მუშაობა დასჭირდებათ, რომ დამაკმაყოფილებლად იყოს გაგლილი და დაძლეული საპროგრამო მასალა.

რუსული ენის მასწავლებლებს შეგნებული უნდა ჰქონდეთ დიდი ამოცანა, რომელიც დგას მათ წინაშე; მათ მუდმივი, გულმოდგინე მუშაობით უნდა დაძლიონ ყველა დაბრკოლება, ღირსეულად შეასრულონ თავიანთი მოვალეობა და სასახელო მაჩვენებლებით შეხვდნენ პარტიის XX ყრილობას.

თ. ჯაფარიძე,

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი.

ᲝᲗᲮᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲢᲝᲛᲣᲠᲘ ᲘᲐᲠᲐᲦᲘᲡ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲖᲔ

(სსრ კავშირის დელეგაციის წინადადება)

I

სახელმწიფოთა ურთიერთობაში დაძაბულობის შენელების, მათ შორის ურთიერთნდობის განმტკიცებისა და ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილების მიზნით საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობები საჭიროდ ცნობენ მიიღონ ღონისძიებანი, რათა უსწრაფესად დადონ საერთაშორისო კონვენცია შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ.

შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხზე აზრთა ურთიერთგაზიარების შედეგად ისინი შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირისა და ჩინეთის შეიარაღებული ძალების დონე დადგენილ იქნება 1-დან 1,5 მილიონამდე კაცის რაოდენობით თვითეული ამ სახელმწიფოსათვის; ინგლისისა და საფრანგეთისათვის — 650 ათასი კაცის რაოდენობით, ამასთან ჩინეთისათვის გათვალისწინებული დონის საკითხი, ისევე როგორც ამასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, რომლებიც ეხება ჩინეთის შეიარაღებულ ძალებს, განხილულ უნდა იქნას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მონაწილეობით.

ყველა დანარჩენი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების დონე არ უნდა აღემატებოდეს 150-200 ათას კაცს და შეთანხმებულ უნდა იქნას სათანადო საერთაშორისო კონფერენციაზე.

2. ატომური და წყალბადის იარაღის სრული აკრძალვა ძალაში შევა მას შემდეგ, რაც განხორციელდება შემცირებათა შეთან

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის X სესია

პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 12 ნოემბერი. (საკრესი). პოლიტიკური კომიტეტის 10 ნოემბრის დღის სხდომაზე განიხილავდნენ სირიის დელეგაციის წინადადებას — მოწვეულ იქნან კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ კორეის წარმომადგენლები, რომ მონაწილეობა მიიღონ კორეის საკითხის განხილვაში.

სხდომის დასაწყისში ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ბლაუშტეინმა მოითხოვა მოიწვიონ მხოლოდ სამხრეთ კორეის წარმომადგენლები. მან გაიელაშვრა სირიის დელეგაციის წინადადების წინააღმდეგ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელთა მოწვევის შესახებ და ასევე მოწვეულს „წარმოუდგენელი“ უწოდა. ბლაუშტეინმა თავის სიტყვაში დაუშვა მტრული გამოხდომები კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ და ცდილობდა გაემწვავებინა დისკუსია. ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი სრულიად უსაფუძვლოდ მოითხოვდა, რომ პირველად კენჭი ეყარათ ამერიკის შეერთებული შტატების წინადადებისათვის.

შემდეგ სიტყვა აიღო საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ი. ა. მალიკმა.

საბჭოთა დელეგაციას, თქვა ი. ა. მალიკმა, საპროდ მიიჩნია, რომ კორეის საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღონ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებმა.

კორეის საკითხის მშვიდობიან მოწესრიგებას საარსებოდ დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი კორეელი ხალხისათვის. ამიტომ კორეის პრობლემის განხილვა არ შეიძლება, თუ მასში მონაწილეობა არ მიიღეს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებმა. დიდი ხანია დროა უარი ვთქვათ წარსულში არსებულ მანკიერ პრაქტიკაზე, როცა კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას, სამართლიანობის საწინააღმდეგოდ და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპების დარღვევით, უარს უცხადებდნენ მონაწილეობა მიეღო გაერთიანებულ ერების ორგანიზაციაში კორეის საკითხის განხილვაში.

კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას, განაგრძო სტალინის წარმომადგენელმა, როგორც ცნობილია, არაერთგზის გაუსცხადებია, რომ იგი კანონიერად არ ცნობს გადაწყვეტილებებს, რომლებიც კორეელი ხალხის ბედს შეეხება და რომლებიც მიღებულ იქნება მის წარმომადგენელთა დაუსწრებლად.

ცხადი უნდა იყოს, რომ თუ მართლაც არსებობს მისწრაფება შეეთანხმდეთ კორეაში მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხზე, მაშინ საჭიროა ეს საკითხი განვიხილოთ კორეის ორივე ნაწილის წარმომადგენელთა მონაწილეობით, მთელი კორეელი ხალხის ინტერესების გათვალისწინებით. ეს არის ერთადერთი სწორი მიდგომა, რომელიც შეუსაბამება კორეაში შექმნილ რეალურ ვითარებას.

კორეის საკითხის გადაწყვეტაში კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მონაწილეობის აუცილებლობა არსებითად უკვე აღიარა ყველა დაინტერესებულმა სახელმწიფომ, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამაც, რასაც მოწმობს, კერძოდ, ამ რესპუბლიკის მიწვევა მონაწილეობა მიეღო საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირში, რომელიც 1954 წლის გაზაფხულზე განიხილავდა კორეის საკითხს. როგორც ცნობილია, კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ აქტიური მონაწილეობა მიიღო ამ თათბირში და შეიტანა მთელი რიგი კონსტრუქციული წინადადებანი, რომელთა მიზანია კორეაში მშვიდობიანი მოწესრიგება.

დასასრულ ი. ა. მალიკმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის დელეგაცია ხმას მისცემს სირიის წინადადებას და წინააღმდეგია ამერიკის შეერთებული შტატების წინადადებისა, რომელის მიზანია გაგრძელდეს მოძველებული, მანკიერი პრაქტიკა — კორეის საკითხის განხილვაში მონაწილეობის შესაძლებლობა მიეცეს მხოლოდ ერთ მხარეს და, სინამდვილესათვის ანგარიშის გაუწევლად, ამ საკითხის განხილვაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა წაერთვის მეორე მხარეს.

კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკის წარმომადგენელთა მოწვევის წინააღმდეგ გაილაშქრეს ინგლისის, ეგვიპტის, პერუს, კუბის, ტაილანდისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის დელეგატებმა.

ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, ინდოეთის, იუგოსლავიის, ბირმის, უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ წარმომადგენლებმა მხარი დაუჭიეს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ კორეის წარმომადგენელთა მოწვევას კორეის საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობის მისაღებად.

სირიის დელეგაციის წინადადებისათვის მხარდასაჭერად გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელი ნოსეკი. რომელმაც განაცხადა, რომ კორეის საკითხის განხილვა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელთა მიერ მონაწილეობის მიუღებლად არა მარტო ეწინააღმდეგება სამართლიანობისა და დემოკრატიის პრინციპებს, არამედ იმის მომასწავებელიც იქნება, რომ კომიტეტი კორეის პრობლემას უდგება ისე, რომ არავითარი იმედი არა აქვს მისი გადაჭრისა, რადგან კორეის გაერთიანება შესაძლებელია მხოლოდ ორივე დაინტერესებული მხარის მონაწილეობით.

წარსული წლების გამოცდილებამ ცხადყო, თქვა პოლონეთის დელეგატმა კაც-სუხმ, რომ კორეის გაერთიანების მიღწევა შეუძლებელია ცალმხრივი მოქმედებით. იგი შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ ორივე მხარის ფართო თანამშრომლობით.

ინდოეთის წარმომადგენელმა კრიშნა მენონმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მიერ დაკავებული პოზიცია არარეალისტურია და ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ამერიკის დელეგაციას სურს დაარწმუნოს სხვა დელეგაციები, რომ ცდას — ანლეტურად მივუდგეთ კორეის პრობლემის გადაჭრას თითქოს აზრი არა აქვს. თუ ამერიკის შეერთებულ შტატებს, აღნიშნა მენონმა, ჩრდილოეთ კორეის მოწვევა „წარმოუდგენლად“ მიაჩნიათ, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სირიის წინადადება ორივე მხარის მოწვევის შესახებ „წარმოუდგენელია“.

მენონმა აღნიშნა, რომ თუ პოლიტიკური კომიტეტი არ მიიღებს გადაწყვეტილებას ორივე მხარის მოწვევის შესახებ, მაშინ მიზანშეწონილი იქნებოდა არ მოგვეწვია არც ერთი მხარე, რადგან მარტო სამხრეთ კორეის წარმომადგენელთა მოწვევას შეუძლია მხოლოდ ავნოს დისკუსიას. მან მტკიცედ გაიელაშვრა იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წინადადების პირველს უყარონ კენჭი.

სირიის წარმომადგენელმა შუქეირიმ განაცხადა, რომ მისი დელეგაციის წინადადების მიზანია, რომ კომიტეტმა მოიწვიოს ორივე მხარე თავიანთი თვალსაზრისი გამოთქვან არა გარეშე პრობლემაზე, არამედ მათი ქვეყნის ბედზე. ბოლოს და ბოლოს, თქვა მან, თვითონ კორეელი ხალხის საქმეა განსაზღვროს თავისი მოსავალი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შეუძლია მხოლოდ დაეხმაროს ამაში კორეელ ხალხს.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია, თქვა შემდეგ შუქეირიმ, მოითხოვს მარტო სამხრეთ კორეის მოწვევას. მაგრამ კომიტეტი სამხრეთ კორეის საკითხს კი არ განიხილავს, არამედ მთელი კორეის საკითხს. ამიტომ, ზაზგასმით აღნიშნა მან, ეპითეტი „წარმოუდგენელი“ შეეფერება ამერიკის დელეგატის წინადადებას მარტო ერთი მხარის მოწვევის შესახებ.

სირიას, თქვა შუქეირიმ, განსაკუთრებული ინტერესები არა აქვს კორეაში, მაგრამ იგი ესწრაფვის მშვიდობის მიღწევას და კორეის გაერთიანებას, რომელიც თავისუფალი იქნება ვისისმე ბატონობისაგან. ამისათვის საჭიროა მოვუსმინოთ ორივე მხარეს. თუ მარტო სამხრეთი კორეა მოვიწვევთ, საკითხის ასეთი გადაჭრა ცალმხრივი იქნება, ეს იმაშეფოთებელი უსამართლობა იქნება.

ბირმის წარმომადგენელმა ბარინგტონმა აგრეთვე ზაზგასმით აღნიშნა, რომ კორეის გაერთიანება შეიძლება მხოლოდ კორეის ორივე ნაწილის თანხმობით. ამერიკის დელეგატის განცხადება, დასძინა ბარინგტონმა, არ მოწმობს იმას, რომ ეს ფაქტი შეგნებული აქვთ. ბირმის დელეგატმა შემდეგ განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წინადადების მიღება ხელს შეუწყობს მხოლოდ კორეის შემდგომ გათიშვას.

სხდომის დასასრულს კვლავ აიღო სიტყვა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ი. ა. მალიკმა, შეეხო რა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის გამოსვლას კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ კორეის წარმომადგენელთა მიწვევის საკითხზე, ი. ა. მალიკმა ზაზგასმით აღნიშნა, რომ ის, ვინც ხელს უშლის კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელთა მიწვევას კორეის საკითხის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად, განაგრძობს ძველ გზას, რომელიც აფერხებს ამ საკითხის მოწესრიგებას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კორეის საკითხის განხილვის მრავალი წლის გამოცდილება დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ ცალმხრივი განხილვა, ისე, რომ მარტო ერთ მხარეს მოუსმინონ, რეალურს არაფერს არ იძლევა. ამიტომ მიზანშეწონილია მოვუსმინოთ ორივე მხარეს. გზა, რომელზეც გვაყენებს ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატი, ერთი ნაბიჯითაც ვერ წასწევს წინ კორეის საკითხს.

ითვალისწინებს რა მშვიდობის ინტერესებს და ისწრაფვის რა აქტიურად შეუწყოს ხელი კორეის საკითხის მშვიდობიან მოწესრიგებას, თქვა დასასრულ ი. ა. მალიკმა, საბჭოთა დელეგაცია მტკიცედ მოითხოვს, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლები მოვიწვიოთ და მოვუსმინოთ მათ აქ სამხრეთ კორეის წარმომადგენლებთან ერთად. საქმისადმი მხოლოდ ასეთი მიდგომით შეეძლებთ საერთო მეცადინეობით გამოვნახოთ გზები. რათა მივაღწიოთ კორეის საკითხის მოსაწესრიგებლად შეთანხმებულ გადაწყვეტილებებს.

ამით დამთავრდა სხდომა.

ჯოუ ენ-ლაის განცხადება იუგოსლავიის გაზეთის წარმომადგენლისადმი

ბელგრადი, 13 ნოემბერი. (საკრესი). ტანიუგის საგანგებო გამოქვეყნა განცხადება, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯოუ ენ-ლაიმ გაუკეთა ბელგრადის გაზეთ „პოლიტიკის“ სპეციალურ კორესპონდენტს. ჯოუ ენ-ლაიმ განაცხადა, რომ ჩინეთი მადლობას უძღვნის იუგოსლავიას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენის საკითხსა და ტაივანის საკითხში მისი პოზიციისა და მხარდაჭერისათვის. შემდეგ ჯოუ ენ-ლაიმ თქვა, რომ ჩინელი ხალხი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა მეტისმეტად კმაყოფილი არიან სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დეკლარაციით, რადგან ეს ხელს უწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და ქვეყნების მშვიდობიან თანაარსებობას. იუგოსლავიის პოლიტიკამ, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნების მშვიდობიან თანაარსებობას, კოლექტიურ უშიშროებასა და საყოველთაო განიარაღებას, განაგრძო ჯოუ ენ-ლაიმ, კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა მთელ მსოფლიოში დაძაბულობის შენელებაზე და ამ პოლიტიკას მხარს უჭერს ჩინეთი.

შემდეგ ჯოუ ენ-ლაიმ განაცხადა, რომ შესაძლებელია ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობა სოციალისტურ და არასოციალისტურ ქვეყნებს შორის. ამიტომ ჩინეთმა აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ყველა ქვეყანას შორის ეკონომიური და კულტურული გაცვლის გაფართოების საკითხს.

დასასრულ ჯოუ ენ-ლაიმ განაცხადა, რომ ნამდვილად სოციალისტური ქვეყნების ურთიერთობა მეგობრო უნდა იყოს, თუმცა მათ შორის შესაძლებელია გადაუჭრელი საკითხები. დავა და გადაუჭრელი პრობლემები ხელს არ უნდა უშლიდეს მეგობრული და მეგობრო ურთიერთობის განვითარებას.

დარბაზობა სოფიაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის პატივსაცემად

სოფია, 13 ნოემბერი. (საკრესი). დღეს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ვალკო ჩერვენკოვმა დარბაზობა გამართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის პატივსაცემად. დარბაზობაზე, რომელშაც გულთბილ ვითარებაში ჩაიარა, იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის წევრები კავშირის საბჭოს სამანდატო კომისიის წევრის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ნ. ი. ბელიაევის მეთაურობით, სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. დმიტროვი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ა. იუგოვი, გ. ტრაიკოვი, გ. ჩანკოვი, რ. დმიტროვი, ი. მიხაილოვი, სახალხო კრების ბიუროს თავმჯდომარე ფ. კოზოვსკი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის წევრები, მეცნიერებისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეები, საზოგადოებრიობისა და პრესის წარმომადგენლები, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ბულგარეთში ი. კ. პრიხოდოვი და სხვა საელჩოებისა და მისიების მეთაურები, რომლებიც აკრედიტებული არიან სოფიაში.

უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ბუდაპეშტი, 13 ნოემბერი. (საკრესი). 9-12 ნოემბერს ბუდაპეშტში მიმდინარეობდა უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა განიხილა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის მატიას რაკოშის მიერ გაკეთებული პოლიტბიუროს საანგარიშო მოხსენება „პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა და პარტიის ამოცანები“.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოისმინა აგრეთვე მოხსენება „სამრეწველო წარმოების გაუმჯობესებისა და მისი ტექნიკური დონის ამაღლების ამოცანების შესახებ“, რომელიც პოლიტბიუროს სახელით გააკეთა იოანეფ მეკიშმა. განხილულ მოხსენებათა გამო პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილებანი.

ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა აგრეთვე მთელი რიგი ორგანიზაციული საკითხები.

იტალიის კომუნისტური პარტიის სამდივნოს ცნობა

რომი, 13 ნოემბერი. (საკრესი). იტალიის კომუნისტური პარტიის სამდივნომ გამოაქვეყნა კომუნიკე „კომუნისტური პრესის ერთთვიურის“ შედეგების შესახებ იტალიაში.

კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ერთთვიურმა დიდი წარმატებით ჩაიარა. ერთთვიურის გამო გაიმართა 20 ათასზე მეტი ღიასაწყაული და სხვა ღონისძიებანი, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო რამდენიმე მილიონმა კაცმა; სახსრების შეგროვებაში (გაზეთ „უნიტას“ ფონდისათვის. — რედ.) მონაწილეობას იღებდა ასეულ ათასობით კაცი. სხვადასხვა სოციალური ფენისა და სხვადასხვა პოლიტიკური რწმენის მილიონობით ადამიანია პრესის კომუნისტური ორგანოების ხელისმოწერი.

კომუნიკეში აგრეთვე აღნიშნულია, რომ ნაკარაუდევი 500 მილიონი ლირის ნაცვლად მშრომელებმა გაზეთ „უნიტას“ ფონდისთვის შეაგროვეს 600 მილიონზე მეტი ლირა. „ყველა ეს ფაქტი, — ნათქვამია დასასრულ კომუნიკეში, — ცხადყოფს კომუნისტური პარტიის მეშვიდრო კავშირს იტალიელ ხალხთან და კვლავ გვიჩვენებს მშრომელთა სოლიდარობას თავიანთ გაზეთთან...“

ბელგიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს რეზოლუცია

ბრიუსელი, 13 ნოემბერი. (საკრესი). იმასთან დაკავშირებით, რომ სახალხოსო არდადეგების შემდეგ განახლდა ბელგიის პარლამენტის მუშაობა, ბელგიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ჩამოყალიბებულია იმ კონკრეტულ ღონისძიებათა პროგრამა, რომელთა მიზანია ბელგიის მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესება.

ბელგიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო, კერძოდ, მოითხოვს: მნიშვნელოვნად შემცირდეს სამხედრო ხარჯები, რაც, როგორც ნათქვამია რეზოლუციაში, შესაძლებელია იმის მეოხებით, რომ დაისახა საერთაშორისო დაძაბულობის შენელება; აღმოიფხვრას დაბრკოლებანი ბელგიის საგარეო ვაჭრობაში; მთავრობამ ცნოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, რათა გააქტიუროს ბელგიის ეკონომიური ცხოვრება.

პოლიტბიუროს ყველაზე გადაუდებლად მიაჩნია ბელგიის მშრომელთა ისეთი მოთხოვნები, როგორიც არის ხელფასის გარანტირებული მინიმუმის დაწესება, უფასო სამედიცინო მომსახურება, ავადმყოფობისა და უმუშევრობის გამო დახმარების გადიდება, ბინის ქირის შემცირება და სხვ.

თბილისში ჩამოვიდა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის კულტების მინისტრი

13 ნოემბერს თბილისში ჩამოვიდა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის კულტების მინისტრი აკადემიკოსი პ. კონსტანტინესკუ-იაში მეუღლით. იგი საბჭოთა კავშირში ამყოფება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბჭოს თავმჯდომარის გ. გ. კარპოვის მოწვევით.

მინისტრ კონსტანტინესკუ-იაშს ახლავს კულტების სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი დ. დოგარუ. სტუმრებს ვაგზალზე შეხვდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რწმუნებული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა დარგში მ. მექვაბიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს რწმუნებული დ. შალუტაშვილი და სხვები.

სტუმრები საქართველოში რამდენიმე დღეს დარჩებიან.

სსრ კავშირის XXXVI პირველობა მძლეოსნობაში



„დინამოს“ სტადიონი 13 ნოემბერს

შემოდგომის კვირადღეა. ცილიდანვე წვიმს, საგრძნობლად ცივა. გაზეთები, აფიშები, განცხადებები გვაფრთხილებენ დიდი სპორტული ასპარეზობის დასაწყისს, სსრ კავშირის პირადგუნდური პირველობის გათამაშებას თბილისში.

„დინამოს“ სტადიონი საზეიმოდ არის მორთული. ლოზუნგები, პლაკატები, აღმები ამშვენებენ მის იარუსებს, მიდამოებს. ლამაზად მოურთავთ შესასვლელები, ტრიბუნები. აქვე მუშაობს ფოტოტელეგრაფი, რადიო, სხვადასხვა კიოსკი. ოსამზადებელი მუშაობა დამთავრდა, მალე შეჯიბრება დაიწყება.

არახელსაყრელი ამინდის მიუხედავად აქ ათასობით სპორტის მოყვარულს მოუყრია თავი.

პირველი სტარტი

სტარტიორის დამბაჩის ხმამ ჰაერი შეარხია. სპორტსმენები ადგილიდან მოწყდნენ, დისტანციაზე მძაფრი ბრძოლა გაჩაღდა. აი ფინიშიც, იგი პირველად გაჰკვეთეს. გამარჯვებულს ერთსულოვანი ტაშით აჯილდოებენ. ეს იყო სპრინტერთა ასპარეზობა. პირველ გარბენას მოჰყვა მეორე, მესამე. და ა. შ. სპორტული რადიოკომენტატორები აცხადებენ შედეგებს.

მძლეოსნურ სექტორებზე თითქმის ერთდროულად დაიწყო წინასწარი და საკლასიფიკაციო შეხვედრები ბადრის ტყორცნაში ქალთათვის, გამორბენით სამალლეზე ხტომაში ვაჟთათვის. მას მოჰყვა შეჯიბრება სიგრძეზე ხტომაში, შუბის ტყორცნაში, სხვადასხვა მანძილზე რბენაში.

ასე დაიწყო 16 მომმე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის მძლეოსანთა ასპარეზობა გარდამავალი ჯილდოს, ოქროს მედლების, ჩემპიონის წოდეა მაისურების მოსაპოვებლად.

ოთხმოცი მარათონელი

დიქტორი სტარტზე მარათონელებს უხმობს. სტადიონის აღმოსავლეთი ტრიბუნისაკენ გაემართა 80 კუნთმაგარი, ბრგე ვაჟკაცი. ეს ხომ ჩემპიონატის ურთულესი სახეობაა. შეუსვენებლად 42 კილომეტრისა და 195 მეტრის გარბენა რამდენ ენერგიას, გამძლეობასა და სიმტკიცეს მოითხოვს!

პირადი პირველობა მარათონულ რბენაში მძლეოსანთა XXXVI ჩემპიონატამდე გათამაშდა. ამიტომ ეს შეჯიბრება წარმოადგენს გუნდურ ასპარეზობას. მონაწილეთა შორის პირველი ათი ნომრიით იყვნენ ის მარათონელები, რომლებმაც გასულ შეჯიბრებაში პირველი ათი ადგილი დაიკავეს.

სტარტი მიცემულია. მაყურებელთა ერთსულოვანი ტაშით მორბენლებმა სტადიონი დატოვეს და გაემართნენ მარშრუტით — ბრძოლის ქუჩა, დიდუბის ახალი ხიდი, საქართველოს სამხედრო გზა, მცხეთა და უკან. დაწინაურდა უკრაინის გუნდის წარმომადგენელი ვ. ეარი. მან მცხეთამდე ისე გაიარა, რომ პირველობა არავისთვის დაუთმია, მაგრამ უკან დაბრუნებისას ლიდერობა ხელთ იგდო ს. კუზნეცოვმა (რსფსრ), ბრძოლა უფრო საინტერესო და მიმზიდველი გახდა.

საზეიმო ცერემონიალი

ნაშუადღევის 3 საათია. ასპარეზობა შეწყდა. სპორტსმენები პირველობის ოფიციალური გახსნისათვის, პარადისათვის ემზადებიან.

მალე სამხრეთ ტრიბუნის შემოსასვლელით საფეხბურთო მოედანზე მწყობრი ნაბიჯით შემოდიან მომმე რესპუბლიკებისა და ქ. ლენინგრადის მძლეოსანთა კოლონები. მათ წინ მიუძღვიან ჩვენი ქვეყნის სახელოვანი სპორტსმენები მ. კიბალჩიჩი, გ. ზიბინა, ვ. კუცი.

კიდევ რამდენიმე წუთი, და ცალკე კოლონად შემოდის გასულ ჩემპიონატში გამარჯვებული მოსკოვის მძლეოსანთა კოლექტივი. მას თან მოაქვს გარდამავალი ჯილდო — დიდი თასი. ერთსულოვანი ტაში დიდხანს არ ცხრება, მაყურებლები გულთბილად ხვდებიან სსრ კავშირის პირველობის გათამაშების მონაწილეებს, რომელთა საერთო რაოდენობა 1.100-ს აღწევს.

სპორტსმენებს მიესალმნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გ. როგულსკი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ქ. ცომაკურიძე. ალაში აღმართეს დედაქალაქის გუნდის წარმომადგენლებმა. ეღერს სსრ კავშირის სახელწოდეა ჰამნი. პიონერები, მოსწავლეები, სასპორტო საზოგადოებათა წარმომადგენლები მძლეოსნებს თაიგულებს, ვიმპელებს უძღვნიან.

საზეიმო ცერემონიალი დამთავრდა. კვლავ იწყება შეჯიბრება.

გამოვლინდა ჩემპიონები

მსაჯები აცხადებენ გამორბენით სიგრძეზე ხტომის პირველ შედეგებს ქალთათვის. ამ დროს ერთსულოვანმა ტაშმა იგრიალა. სტადიონზე გამოჩნდა პირველი მარათონელი. იგი



მთელი სისწრაფით მიჰქრის ფინიშისაკენ. 42 კილომეტრი და 195 მეტრი გავლილია 2 საათში, 21 წუთსა და 23,8 წამში. ეს დრო აჩვენა რსფსრ გუნდის წარმომადგენელმა ს. კუზნეცოვმა. მას მოჰყვა მ. გალაქტიონოვი, ა. გრიზკინი, ო. სემიონოვი, რ. გატაულინი. ხუთივემ შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი. მათ მიერ ნაჩვენები დრო კარგი მიღწევაა.

გამმარჯვა რსფსრ გუნდმა.

თეორი ნათურა აინთო. არის! ნახტომი 6 მეტრი და 24 სანტიმეტრია. ეს ახალგაზრდა ბისას ლიდერობა ხელთ იგდო ს. კუზნეცოვმა (რსფსრ), ბრძოლა უფრო საინტერესო და მიმზიდველი გახდა.

საზეიმო ცერემონიალი

ნაშუადღევის 3 საათია. ასპარეზობა შეწყდა. სპორტსმენები პირველობის ოფიციალური გახსნისათვის, პარადისათვის ემზადებიან.

მალე სამხრეთ ტრიბუნის შემოსასვლელით საფეხბურთო მოედანზე მწყობრი ნაბიჯით შემოდიან მომმე რესპუბლიკებისა და ქ. ლენინგრადის მძლეოსანთა კოლონები. მათ წინ მიუძღვიან ჩვენი ქვეყნის სახელოვანი სპორტსმენები მ. კიბალჩიჩი, გ. ზიბინა, ვ. კუცი.

კიდევ რამდენიმე წუთი, და ცალკე კოლონად შემოდის გასულ ჩემპიონატში გამარჯვებული მოსკოვის მძლეოსანთა კოლექტივი. მას თან მოაქვს გარდამავალი ჯილდო — დიდი თასი. ერთსულოვანი ტაში დიდხანს არ ცხრება, მაყურებლები გულთბილად ხვდებიან სსრ კავშირის პირველობის გათამაშების მონაწილეებს, რომელთა საერთო რაოდენობა 1.100-ს აღწევს.

სპორტსმენებს მიესალმნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გ. როგულსკი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ქ. ცომაკურიძე. ალაში აღმართეს დედაქალაქის გუნდის წარმომადგენლებმა. ეღერს სსრ კავშირის სახელწოდეა ჰამნი. პიონერები, მოსწავლეები, სასპორტო საზოგადოებათა წარმომადგენლები მძლეოსნებს თაიგულებს, ვიმპელებს უძღვნიან.

საზეიმო ცერემონიალი დამთავრდა. კვლავ იწყება შეჯიბრება.

გამოვლინდა ჩემპიონები

მსაჯები აცხადებენ გამორბენით სიგრძეზე ხტომის პირველ შედეგებს ქალთათვის. ამ დროს ერთსულოვანმა ტაშმა იგრიალა. სტადიონზე გამოჩნდა პირველი მარათონელი. იგი